საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ირაკლი ბონდარენკო

# ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი

| |
|---|
| კენჭისყრა - 24.04.2025 |
| თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურა? |
| დიახ      არა |

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს**

**ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის არჩილ კოჭლამაზაშვილის წარდგენის შესახებ კენჭისყრის**

**დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

**24 აპრილი, 2025 წელი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულების (2024 წლის 31 დეკემბრის №1/163 განკარგულებით ცვლილება შევიდა 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 განკარგულებაში) საფუძველზე დაიწყო კონკურსი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის მიზნით. ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატად დარეგისტრირდა **არჩილ კოჭლამაზაშვილიც.**

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, მივედი იმ დასკვნამდე, რომ კანდიდატი - **არჩილ კოჭლამაზაშვილი** სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი, ჩემს მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით - 89 ქულით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით განხორციელებული შეფასებების შედეგად საბჭოს ყველა წევრმა მიიჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატმა დააგროვა 985 ქულა, რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის 1100 (89,55) პროცენტია.

მასთან ჩატარებული გასაუბრების, საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებების გათვალისწინებით და მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, მიმაჩნია, რომ **არჩილ კოჭლამაზაშვილს** გააჩნია სამოსამართლო საქმიანობის წარმატებით და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის აუცილებელი უნარები და შესაძლებლობები.

მიმაჩნია. რომ **არჩილ კოჭლამაზაშვილს** შესწევს უნარი ღირსეულად შეასრულოს მოსამართლის რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე ვიღებ გადაწყვეტილებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე არჩევის მიზნით, საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად მხარი დავუჭირო არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურას.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**ირაკლი ბონდარენკო**